



22130543



International Baccalaureate®
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

GEORGIAN A: LITERATURE – STANDARD LEVEL – PAPER 1
GÉORGIEN A : LITTÉRATURE – NIVEAU MOYEN – ÉPREUVE 1
GEORGIANO A: LITERATURA – NIVEL MEDIO – PRUEBA 1

Wednesday 8 May 2013 (morning)

Mercredi 8 mai 2013 (matin)

Miércoles 8 de mayo de 2013 (mañana)

1 hour 30 minutes / 1 heure 30 minutes / 1 hora 30 minutos

INSTRUCTIONS TO CANDIDATES

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a guided literary analysis on one passage only. In your answer you must address both of the guiding questions provided.
- The maximum mark for this examination paper is *[20 marks]*.

INSTRUCTIONS DESTINÉES AUX CANDIDATS

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez une analyse littéraire dirigée d'un seul des passages. Les deux questions d'orientation fournies doivent être traitées dans votre réponse.
- Le nombre maximum de points pour cette épreuve d'examen est *[20 points]*.

INSTRUCCIONES PARA LOS ALUMNOS

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un análisis literario guiado sobre un solo pasaje. Debe abordar las dos preguntas de orientación en su respuesta.
- La puntuación máxima para esta prueba de examen es *[20 puntos]*.

დაწერეთ ერთ-ერთი ტექსტის ლიტერატურული კომენტარი. თქვენს პასუხი გათვალისწინებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ორივე მითითების მოთხოვნა.

1.

- მეტოვე შეიქმნა გიგოლა. ჩაბარეს ჩომბახი მძიმე, წამოასხეს დურატყავი, დახურეს თავზე მთელი ცხვარი. რამოდენაა, ღმერთო ჩემო, უზარმაზარი! მისანდო აღმოჩნდა, საფრთხილო დავალების პირნათლად მატარებელი. დამე მუშაობდა, დღე ეძინა. ისე თვალემიერად დასტრიალებდა ეზო-ყურეს, როგორც ბელებიანი დათვი ბუნაგს. ერთში არ ივარგა: ვერ შეათვისეს ენის ტარება, დაბეზღება. სცადეს ჩაგონება. მაგრამ ამაռდ; თავს იქნევდა უარის ნიშნად. უშვეს ხელი. ბევრი დაკარგა: ამ საქმისათვის ცალკე სასყიდელი მიეცემოდა. სწორედ დაითხოვდნენ, თუ ისეთი ერთგული არ ყოფილიყო გუშაგობაში. სხვა სარგებელიც ჰქონდათ მისგან: დაუზარებელი მკეთებელი იყო, უანგარო.
- გიგოლ ჩემო, ეს ტომარა გადაიტანე ჩემსას. ოთხფუთამდინ იქნება. ხომ არ გემძიმება?
- გიგოლა ამოიდებდა საცალოს იდლიაში და მიაბოტებდა.
- რა გერგება გასამჯელო?
- მხოლოდ თავს გაიქნევდა უარის ნიშნად და გაუდგებოდა გზას. ნებით მიაწოდებდა უხვი საკმაოს, მუნწი ცოტას, კრიუანგი არაფერს. ეს მისი დაუფასებელი თვისება ჰქონავდა მოხელეების თვალში მის ნაკლულებას. წენარად განაგრძობდა გიგოლა თავის ახალ სამუშაოს თვითონაც კმაყოფილი, სახლისათვისაც გამოსადეგი. ძალიან ერთფერი იყო და შემოზღუდული მისი ნაშრომი: რა უშავდა: არც თვითონ იყო ცვალებადი ცხოვრების მიმდევარი, მრავალფერისა. ესე იქნებოდა ბოლომდის, თუ შემთხვევას არ შეერყია მისი ყოფა, არ გადაეგდო დაკგალულ სავალიდან, უმწეოდ არ დაეტოვებინა ჯვარედინ გზაზე.
- გითხარი: ძალიან თვალემიერი დარაჯი იყო ჩაბარებულ ეზო-ყურეში ეს უძრავად მჯდომი თუ მდგომი კაცი. არ იცოდნენ ეს დამის ოსტატებმა და ერთი მათგანი მოჰყვა ხაფანგში; მერე როგორ უშნოდ!
- განეზრახა დაგეშილს თავისი ხელოვნება ეცადა გიგოლას საბრძანებელში. დიდისითვე მიმალულიყო სადღაც ჯურლმულში. დაეარნა დამე მიზანში ამოდებული ოთახები, შეეგროვებინა დავლა და აპირობდა გასხლეტოდა ხელიდან გუშაგს. გიგოლას სმენას ადრევე მიექცია ყურადღება არაჩეულებრივი ჩუქუნისათვის. დაეთვალიერებინა, შეენიშნა მძარცველის ონავრობა და იქ გაჩერებულიყო უძრავ სვეტივით, რა ადგილსაც ქურდი გზას ვერ აუქცევდა. დიდი ხანი გავიდა ლოდინში. თითქო მისწყდა ყოველი ხმაურობა. გაქვავებული ყარაული იქვე იდგა უძრავად. მტაცებელი უსათუოდ უნდა გასულიყო, თორემ შემოათენდებოდა. სცადა ბედი, მეტი რა ღონე ჰქონდა? მოიგდო ნაძარცვით სავსე ტომარა და ფეხაკრეფით დაუპირდაპირა ალაყაფის კარებს. იმედმა გაუდიმა: პატარა კარი დია დაპხვდა;
- გულგახსნილი იწვევდა თავისკენ თავის მოტრფიალეს. დარაჯი არ იძროდა, ჩომბახზედ დაყრდნობილი. მოემატა მპარავს გამბედაობა: ძლიერ ფეხმარდი ბიჭი იყო, ქალაქის ყველა ქუჩებისა თუ ვიწროების მცოდნე; თუ ერთი გასცდენოდა გიგოლას, შეუძლებელი შეიქმნებოდა მისი მოწევნა, როგორც მერცხლისა, მისი მოხელვა, როგორც ნემსის პოვნა ბზით სავსე გოდორში. დაუახლოვდა გარინდებულს,
- 40 თითქოს დაუსწორდა. ერთი ნაბიჯიც და...

საშინლად დაიღმუვლა გუშაგმა; ისე გადახტა მთასავით კაცი, თითქო დათვი გადაეშვაო განაპირებულ ძროხისაკენ, რომ ზურგზედ მოაჯდეს და მძლავრად დაბუბნოს, დაგლიჯოს, დაბდდვნასო. ამ უცნაურმა მოძრაობამ მუხლი შესტაცა გამჭვევს. მისწვდა გიგოლა, მოპრა თათი კისერზედ. ერთი კი შეკვენესა მპარავმა და მიწას განერთხო, გაითანგა; მოკვდა კაცი, მოკვდა, შეიქმნა ხმაურობა. გაანათეს იქაურობა. შეგროვდნენ. გასინჯეს.

- 45 – კისერი მოსწყვეტია ამ...
- მართლა, კაცო! დახე, პირი ზურგისაკენ მოჰქმევია.
- მომკვდარა?
- 50 – აღარც ბეგრი უკლია.
- ყოჩად, გიგოლ! ესე უნდა ამისთანა ავაზაკებს! – უბნებოდა უფროსი.
- და მოწონების ნიშნად მხარზედ ხელს უბარტყუნებდა. გიგოლა აღარ ჰშორდებოდა მისგან ვნებულს; წყალს აპკურებდა, კისერს უსინჯავდა; ბურტყუნებდა. ასწიეს კაცი, წაიდეს. ნაძარცვი დააბინავეს.
- 55 – შენ, ჩვენო ერთგულო, ამ ყოჩადობისათვის ჯილდოზედ წარგადგენ! იცი, რა სირცხვილს და ზარალს გადაგვარჩინე?
- 60 ერთგული კი უკმაყოფილოდ იდგა, თავს იქნევდა უარის ნიშნად; მერმე გაიძრო ქურქი, მოიგლიჯა ქუდი, დააწყო ერთად, დადო ზედ სადარაჯოდ მიცემული ჩომბასი და გასწია შინისკენ. აღარც დაბრუნებულა. ვეღარ გასჭრა ვერც უფროსის ბრძანებამ, ვეღარც ცოლის კაპასობამ. დაკარგა კაცმა კარგი ადგილი. ჯიუტად დასტოვა იგი შეუგნებელმა. რაღას იზამდნენ, რას გააწყობდნენ?

ვასილ ბარნოვი, სული მოვლემარე (1922)

- (ა) იმსჯელეთ, როგორ ახსნით მთავარი პერსონაჟის ამგვარ ქცევას.
- (ბ) გაანალიზეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი მთავარი პერსონაჟის ზნეობრივი სახის დასახატად.

2.

ძველი წარწერები

მეფემან ბაგრატ მპურობელმან
ყოვლთა ქართველთა... ვესევ...
და აღვაშენე... წევნითა...
ღმრთისა... ტაძარი ესე...
5 ...ითა ჩემითა აღაგო
მან მაღალმა და ბრძენმან
ოსტატმან ა... ე... (*სახელი*
არ იკითხება) მრწემ ვარ...
და დავესვენე წმიდასა
10 ამას... უფლისა... ცხრამე...
ცოდვანი ჩემნი... ითა და...
...ისაითა და... ამენ.
კანკლედთან, ვირემ წმიდანნი,
თვალს ეფეთება სხვა რამ:
15 ხელაპყრობილი ხატია
ჩაბალხთ-ბატონი გვარამ.
მზერა ჰქონდა და ორბული,
ხელი ჰქონდა და მძიმე,
ქართლის მეფეზე გაცაწყრა,
20 სამგზის განაძო იმერს.
ჩაფიოთ ჩაღლევდა ლომკაცი,
ჯერზე ერკემალს ნოქავდა
(ეს ცნობაც შემოუნახავს
საგვარეულო დავთარს).
25 შორ გზაზე უბით დაჲქონდა
დედასამშობლოს მიწა.
სამთავეს ყადრი იცოდა,
ცხენის, ქალის და ხმლისა...
საფლავის ლოდი გადარჩა,
30 თვითონ საფლავი არა.
აქ:განისვენებს: – წერია –
დიდი:მთავარი:გვარამ:
კაცნო:უბრძანეთ:შენდობა:
მხექსა:მამაცსა:ქველსა:
35 გარდა:იცვალა:მაყრიონს:
გრემის:დაქცევის:წელსა.
ამინ. ვახსენოთ. შევუნდოთ.
წარსულია და გველმის.
ისე მამაცნი ყოფილან,
40 უზაკველნი და ქველნი,
ისე ზარავდათ მომხვდურებს
მათი ძალი და სიმხნე,
რომ ზოგჯერ ეჭვიც გაკრთება:
იყვნენ? არ იყვნენ? იყვნენ?

45 დღეს აქ ერთია სავსებით
უქველი და ცხადი:
ფრთხილად დახაზა ეტრატზე
ნათლის, სიმართლის ხატი,
უჭვრიტა, განბჭო, განზომა,
50 რა განასრულა ხაზვა,
და ოქრომჭედლის სიზუსტით
ხედის თვალედში ჩასვა
მან ბრძენმან, ვითარ უწოდებს
მეფე ქართველთა, ბაგრატ,
55 ოსტატმან, ვისი სახელიც
არ იკითხება,
გაქრა...

დავით წერედიანი (1987)

- (ა) იმსჯელეთ, რა აზრს გამოხატავს ავტორი ბველი წარწერების ფრაგმენტების
მეშვეობით.
- (ბ) გააანალიზეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი თავისი სათქმელის
გამოსახატავად.